# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — შაბათი, 23 სექტემბერი 1900 წ. № 1247

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 სექტემბერი

**პეტერბურგი.** სატარიფო სხდომის მე-4 კრებაზე განაგრძეს თათბირი ფქვილის ტარიფის შესახებ. 9 მემამულე იმ აზრისა იყო, რომ ფქვილზედაც და მარცვალზედაც ერთი და იგივე ტარიფი იქმნას; 16 მემამულე კი ამჯობინებდა ფქვილზე ტარიფის მომატებას. ქატოზე, ჩენჩოზე და ზეთის მომცემ თესლეულობაზე ტარიფი შეუცვლელად უნდა დარჩესო.

20 სექტემბერს მისი უმაღლესობა ხელმწიფე მემკვიდრე და საბერძნეთის დიდი მთავარი ნიკოლოოზი მივიდნენ პეტერბურგში და შემდეგ გემით „ზარნიცა“-თი დანიისაკენ წავიდნენ.

**კიევი.** დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ დაათვალიერა სამხედრო სასწავლებლები და წავიდა კავკასიაში.

**ლონდონი.** გუშინ, ღამის პირველ საათამდე, აირჩიეს 200 მთავრობის მომხრე და 75 ოპპოზიციის მომხრე. სამინისტრო პარტიამ შეიძინა შვიდი ახალი ადგილი, ოპოზიციამ—ათი.

**ბერლინი.** ჩინეთის იმპერატორმა 12 სექტემბერს გამოსცა ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულ არიან სასჯელის ღირსი პრინცები და უმაღლესი მოხელენი და „დიდი მუშტის“ მომხრენი. გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა სახელმწიფოებს შეუთანხმდეთ, რომ დიპლომატებმა ჩინეთში მოლაპარაკება გამართონ შემდეგ სამი მუხლის შესახებ: 1) საკმარისი და ნამდვილია თუ არა სია სასჯელის ღირს პრინცებისა; 2) საკმარისია თუ არა აღნიშნული სასჯელი და 3) როგორ შეუძლიანთ სახელმწიფოებს თვალ ყური ადევნონ, რომ დამნაშავენი მართლა დასჯილ იქმნენ. დღემდის მიღებული ცნობები იმედს იძლევიან, რომ ამგვარი შეთანხმება შესაძლებელია.

**შანხაი.** აქ მიღებულია რამდენიმე ბრძანება იმპერატორისა, რომლით გადაყენებულ იქმნენ დამნაშავე მოხელენი და მათ ადგილას დაინიშნენ ახლები, „დიდი მუშტის“ მოძრაობის წინააღმდეგნი.

**ნიუ-იორკი.** ტიანძინიდან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ 17 სექტემბერს გენერალმა ჩაფფიმ და რუსეთის ჯარის უფროსმა ფორმალურად აცნობეს ვალდერზეეს პეკინიდან თავიანთ ჯარების გაყვანის შესახებ. გერმანელებს და ინგლისელებს კვლავ მიჰყავთ ჯარები პეკინში.

მოელიან, რომ პაოტინფუსკენ გაგზავნილ ჯარებს წინ გადაელობება დიდძალი მოკრივე.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის წარმომადგენელს შემდეგი მოუხსენებია სტატს-სეკრეტარ გეისთვის: „გერმანიის მთავრობას იმედი აქვს სახელმწიფოები შეიგნებენ, რომ გერმანია სრულებით დაკმაყოფილდება, თუ ჩინეთი თავისის ნებით დასჯის 8 დამნაშავე პრინცს“.

იმავე რწმუნებულმა აცნობა, რომ გერმანია ამას შემდეგ აღარ შეუშლის ხელს მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკებას თან დაუმატა, რომ გერმანიის ელჩს ჩინეთში ბრძანება მიუვიდა შემდეგი რჩევა მისცეს ჩინეთის მთავრობას: 1) ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელთ უფლება ჰქონდეთ გარდასწყვიტონ, ნამდვილად ის პრინცები არიან დამნაშავენი, რომლებზედაც ჩინეთის მთავრობა მიუთითებს, თუ არა; 2) სახელმწიფოთა წარმომადგენელნი უნდა დარწმუნდნენ, რომ ჩინეთის მთავრობამ თავის ნებით ღირსეული სასჯელი მიუსაჯა დამნაშავეთ და 3) ელჩებმა უნდა მოსთხოვონ ჩინეთს გარანტია იმისა, რომ დამნაშავენი მართლა იქმნებიან დასჯილნი და თუ შესაძლებელი იქმნება სასჯელიც აღსრულებულ იქმნას მათისავე თანადასწრებით. თუ ყოველივე ესე მოხდება, სახელმწიფოთა წარმომადგენელთ შეუძლიანთ დაიწყონ ჩინეთთან მოლაპარაკება ზარალის ზღვევის შესახებ.

**ვაშინგტონი.** დიდი იმედი აქვთ, რომ ჩინეთის საქმეების შესახებ მოკლე ხანში სახელმწიფოთა შორის თანხმობა ჩამოვარდება. ეს საიმედო მოლოდინი იქიდან წარმოსდგება, რომ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკისა და გერმანიის შეთანხმებას. სტატს-სეკრეტარს ამერიკისას გეის და გერმანიის წარმომადგენელს თათბირი ჰქონდათ, და გამოირკვა, რომ ორივე სახელმწიფოებს თითქმის ერთი და იგივე საგანი ჰქონიათ ჩინეთის საქმეებში.

აქაურ გერმანელთა საზოგადოებაში იმ აზრის არიან, რომ ჩინეთის იმპერატორის ბრძანება ტუანისა და იმის თანამოაზრეთა დასჯის შესახებ იმას მოასწავებს, რომ ჩინეთს ჰსურს დამნაშავეთ საკადრისად მოექცნენ.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

ა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი დ'ესტურნე დე-კონსტანი სწერს ფრანგულ ჟურნალ «ტან»-ში: ევროპიელთა რჩევამ და წინასწარმეტყველებამ ვერ შეაჩერა ევროპა, რომელიც საოცარის სიჩქარით მიექანებოდა ჩინეთის უფსკრულში. სინამდვილემ დაგვანახვა, თუ ვინ სცდებოდა, რომელიც გაიძახოდა, რომ პე-ჩი-ლის სრულე სახარბიელო რამ არისო, თუ ის, რომელიც პე-ჩი-ლის დაპყრობას მძიმესა და დაუთავებელის ომის დასაწყისად სთვლიდა? ვინ იყო მართალი, ის, რომელსაც ჩინეთი მოსჩანდა ადვილად დასაქცევ გასაყოფ ბუდედ, თუ ის, რომელიც აფრთხილებდა ყველას და აგონებდა, რომ მაგ ბუდეში ოთხასი მილიონი მცხოვრებია და თუ შეიძრა მეტად საშიშარ და სახიფათო რამ იქმნებაო. ვინ უფრო გონიერად მოიქცა, ვინ უფრო წინდახედულება გამოიჩინა? იმათ, რომელნიც ჰყიდდნენ ამ 400 მილიონ მცხოვრებს საომარ იარაღსა და მანქანებს, უგზავნიდნენ ინსტრუქტორებს და ჯარის კაცთა გამწვრთნელთ, რომელნიც ძალით ართმევდნენ ჩინელებს რკინის-გზის კონცესსიებს, მათ თავმოყვარეობას ამცირებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ, მათ სარგებლობას ფეხ-ქვეშ თელავდნენ, მათ სინიდისსა და სარწმუნოებას სასაცილოდ იგდებდნენ,—ამათ უფრო შორს გამჭვრეტელობა გამოიჩინეს, თუ იმათ, რომელნიც გაიძახოდნენ: «ფრთხილად იყავით! თქვენის მოქმედებით გამოიწვევთ თქვენს წინააღმდეგ მტრის ჯარს, რომელსაც რამდენიმე ათასი და ათი-ათასი მხედარი ეყოლება, თქვენის მიზეზით თვით რევოლიუციას გამოიწვევთ, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიამ არ იცისო. დღევანდელმა შემთხვევებმა გვიგოს ამაზედ პასუხი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმის შედარებით, რაც მოგველის. დღევანდელი შემთხვევა დასაწყისია იმ თავზარ-დამცემის შორეულის ტრაგედიისა, რომელიც სისხლით მორწყავს არა თუ შორეულ აღმოსავლეთს, თვით ევროპას და მთელს ცას-ქვეშეთს, თუ ცოტად თვალები არ გავახილეთ. ჩვენ კი გვეშინიან ნამდვილი გარემოება გამოვირკვიოთ, ვიტყუებთ თავს და განგებ თვალებს ვიბრმავებთ. ევრო-

ბას, ჯერ ერთი, არა აქვს თანხმობა და ამ უთანხმოების წყალობით და გარდა ამისა იმ დიდის მანძილის გამო, რომელიც მას აშორებს მეობარ ქვეყანას, არ მალუმს მეობარ ქვეყანას ჯეროვანად აღჭურვილი დაუხვდეს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ევროპის სახელმწიფოები შეთანხმდნენ. წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფოებმა საკმაო ჯარი გადაიყვანა ჩინეთში, წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ამ ჯარმა ჩინეთის ჭკუა კარგად შეიშნო, (მაგალითად, წარღვნის მსგავსი წვიმების სეზონი) და ყოველივე ამის შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ ჩინეთის აჯანყება მოსპო ევროპის ჯარმა, ამით საქმე კიდევ არ გათავებულა, წინააღმდეგ უძნელესი ნაწილი აღუსრულებელი რჩება. აჯანყების დაცხრობის შემდეგ ევროპა მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას და ზარალის დაფარვას, თუ ამ საგანში ევროპამ ქველებური სურვილები წამოაყენა და ჩინეთის დანაწილება მოისურვა— მაშინ გარდა იმისა, რომ მაგ აზრის განხორციელება თითქმის ყოვლად შეუძლებელია, ისეთს აყალ-მაყალსა და უთანხმოებას გამოიწვევს თვით სახელმწიფოთა შორის, რომ დაამხობს ევროპის ვაჭრობას, მთელს ევროპაში კრიზისები გახშირდება და მუშათა დაუსრულებელი აჯანყება დაიწყება, მაშ გონიერება მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა მარტო აჯანყების მეთაურთა დასჯა მოითხოვონ და ზარალის დაფარვა. ყველაზედ უფრო დიდი საქმე მაინც წინ არის. ევროპამ უნდა მოითხოვოს გარანტია იმისა, რომ მომავალში ჩინეთი ეგრეთ სიურპრიზებს არ მიართმევდეს ხოლმე. უბედურებაც და ხიფათიც იმაშია, რომ არ ვიცით, ვის უნდა მოსთხოვოს ევროპამ ეგრეთი გარანტია? მთავრობა ჩინეთისა, ჩვენისავე წყალობით, დასუსტებულია, დაბეჩავებული, ყოვლად ულონო და ყოველივე ძალასა და გავლენას მოკლებული. რუსეთმა პორტ-არტურ[ი]ა დაიპყრო, ინგლისმა და გერმანია[მ] ვეი-ხაი-ვეი და კია-ჩაო, საფრანგეთმა კუანგ-ჩუ და ამგვარად დასცეს მთავრობა და აღაშფოთეს ხალხი. ჩვენივე წახდენილი საქმე, ჩვენ უნდა გავასწოროთ. ევროპამ უნდა დაადგინოს ჩინეთში მთავრობა, ეს მთავრობა ჩვენი შექმნილი იქმნება და იგი იქმნება მომავალში მშვიდობიანობის წინდი ყველასათვის. ევროპამ უნდა აღადგინოს დაცემული ავტორიტეტი მთავრობისა და დააწესოს ჩინეთში ერთგვარი პროტექტორატი. ამ პროტექტორატს აზრად უნდა ჰქონდეს არამ თუ მარტო ჩინეთის დაცვა, არამედ თვით ევროპის გატაცების ალაგმვა და კალაპოტში ჩაყენება. იგი უნდა იქმნეს შუამავალი ევროპასა და ჩინეთის შორის და ლაგამი ევროპისათვის.

თუ ევროპის სახელმწიფოების თანხმობას ისა აქვს აზრად, რომ ყველამ თავისდა სასარგებლოდ გამოიყენოს ჩინეთის არეულობა და ომი, მათი თანხმობა წუთიერი იქმნება: ცოტა ხნის შემდეგ ერთი მეორეს დაუწყებენ წეწვა-გლეჯას. ჩინეთი მათი უთანხმოებით ისარგებლებს, მათ მხარს მისცემს ოსმალო და საზოგადოდ ყველა ქვეყნები, რომელნიც ევროპას ეჭვისა და მტრულის თვალით უყურებენ და მაშინ ატყდება მსოფლიო ომი და ნამდვილი ხაოსის სამეუფო დამკვიდრდება. მაშ, თუ ევროპას უნდა ცივილიზაციის სათავეში იდგეს, ჩინეთის დანაწილებისთვის კი არ უნდა შეთანხმდეს, [თავისი] თანხმობით უნდა ისარგებლოს მისთვის, რომ ჩინეთის საქმეები განაწეს-რიგოს. თუ ევროპამ არ შეიგნო, რომ შორეულ აღმოსავლეთის საგანი ისეთი რამ არის, რომლის წინაშე შინაური უთანხმოება უნდა მივიწყებულ იქმნას და თუ მარტო ამ საგანს არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება, თავისისავე ხელით გამოიჭრის ყელს.

მართალია, ევროპის სახელმწიფოთა შეთანხმება ადვილი საქმე როდია, მაგრამ იგი მოუცილებელია. მართალია ამგვარი თანხმობა დღეს თითქმის უტოპიად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ასე იყო ჩინეთის საქმის შესახებაც: ორის სამის წლის წინად რომ ვისმე ეთქვა, ჩინეთი ჩვენთვის საშიშარი არისო, გიჟად ჩასთვლიდნენ. და განა ამ ნახევარის საუკუნის წინად დაიჯერებდა ვინმე, რომ ორთქლსა და ელექტრონს ისე გამოვიყენებდით, რომ კაცობრიობის მთელს ცხოვრებას სახე შეეცვლებოდა!

დიპლომატიაც უნდა შეიცვალოს, ისე როგორც ყოველივე ამ ქვეყნად; არა შესაძლოა დიპლომატია დღეს იგივე იქმნეს, რაც ჟოზეფ-დე-მესტრისა და მაკიაველის დროს იყო. ჩინეთის შესახებ საეჭვო აღარა არის რა: ან უნდა გაევროპიელდეს ჩინეთი და ან არა.

## ახალი ამბავი

✦ ოფიციალურ „ყუბანის საოლქო უწყებებში" დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება: „კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწემ გენ. ლეიტ. ა. ა. ფრეზემ, ჰპოვა რა მავნებლად საზოგადოებრივ უშიშროებისა და მყუდროებისათვის კავკასიაში ყოფნა სამსახურიდან გადამდგარი პორუჩიკი მიხეილ რედინისა, საჭიროდ სცნო, უმართებულეს სენატისადმი უმაღლესი ბრძანების, 3 მარტს 1897 წ., მე-7-ე მუხლის ძალით და თანახმად მთავარ-მართებლის რჩევის დადგენილებისა, აღეკრძალოს რედინს ცხოვრება კავკასიის საზღვრებში".

✦ რუსეთის ასტრონომიულ საზოგადოებას თხოვნა აღუძრავს ამ ჟამად, როგორც იუწყებიან სატახტო ქალაქების გაზეთები, რომ ხელახლად იყოს დაარსებული აბასთუმანში სამთო ობსერვატორია, რომელიც ჰაერის შესანიშნავის სიწმინდით პირველი არის ევროპაში. განზრახვა აქვთ აბასთუმნის ობსერვატორიას მიეცეს ყველა უახლესი ინსტრუმენტები.

✦ ტფილისში ჩამოვიდნენ ერევნის გუბერნატორი დ. ს. ს. გრაფი ვ. ფ. ტიზენ-გაუზენი და ბაქოს გუბერნატორი გენერალ მაიორი დ. ა. ოდინცოვი.

✦ სექტემბრის 21, საღამოს, შესდგა კრება გამგეობისა თანადასწრებით ქალაქის ვეტერინარებისა, გუბერნიის ვეტერინარისა და ადგილობრივ მმართველობის ვეტერინარისა, რომელთაც უნდა განეხილათ კითხვა იმის შესახებ, თუ რა გვარად მოეწყოს იმ საქონლის შენახვა, რომელიც მოჰყავთ ქალაქის ბაკში გასასყიდად და გაუყიდავი კერძო ბაკებში მიჰყავთ შესანახად მეორე დღემდე. ეს ზომები საჭიროა ჭირის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. კრებაზე დაადგინეს მიენდოს სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის უფროს ზედამხედველს, თანადასწრებით მეშვიდე ნაწილის ბოქაულისა, ქალაქის ვეტერინარისა და მთავრობის ვეტერინარებისა გასინჯოს კერძო ბაკები საქონლის დასაყენებლად. გუშინ, 22 სექტემბერს, ამ კომისიამ დაათვალიერა მამუკის სოფელი, ნავთლუღი და ავლაბარი. აღმოჩნდა, რომ პირველ ორ ადგილს სრულიად არ არის კერძო ბაკები, ხოლო ავლაბარში საქონლის შენახვა სრულიად მოუხერხებელია სიშორისა გამო და იმიტომ, რომ ამ ბაკებში დგება სოფლიდან მოსული ურმები. ამ საქონელთან არევა გასაყიდ საქონლისა საშიშია. ამის გამო კომისიამ გადასწყვიტა წარუდგინოს აზრი, რომ ქალაქმა თითონ გააკეთოს ნავთლუღში ბაკები.

✦ ქალაქის ინჟენერმა მ. ი. ალიბეგოვმა დეპეშით აცნობა პარიზიდან ქალაქის თავს, რომ ანებებს თავს ქალაქის სამსახურს. ამ სამი წლის განმავლობაში ეს მეოთხე ინჟენერი ანებებს თავს. ყოველი მათგანი მხოლოდ რამდენიმე თვე მსახურებდა. ცხადია, ამ მოვლენას აქვს რაიმე ისეთი მიზეზი, რომელიც გამგეობას უნდა აეცილებინა თავიდან. ამბობენ, რომ ამ თანამდებობაზე იწვევენ ინჟ. ენფიაჯიანცს, რომელიც ამ შვიდის წლის წინად მსახურებდა.

✦ სიღნაღის მაზრიდან სწერენ „ნოვ. ობოზრენიე"-ს: „კიზიყში ყურძნის რთველი დაიწყო; ერთი კვირის შემდეგ წინამხარშიაც დაიწყება. მომეტებულ ნაწილს ვენახის პატრონთა ჩვეულებრივი მოსავლის $^{1}/_{5}$—$^{1}/_{10}$-ზე მეტი არ მოუვათ. იმ ვენახებშიაც, რომლებსაც აპრილში მოსავლის კარგი პირი ჰქონდათ, საცოდავად მარცვალ გაცვივნული მტევნები ღა იკრიბება. მოსავალი წაახდინა სხვა-და-სხვა ყურძნის სენმა. თავის დროზე ნაწამლ ვენახებშიაც კი წახდა ნაწილი მოსავლისა და ამისთანა ვენახები, სამწუხაროდ, ხომ ძალიან ცოტაა. ჩვეულებრივ ცნობილ სნეულებათა—მილდიუს და ნაცარს—გარდა, ცოტა ზარალი არ მოიტანა კიდევ ახლად გაჩენილმა სენმა, რომელიც ლაქასავით აჩნდა მარცვლის კანს. ეს ლაქა თანდათან იზრდებოდა, შავდებოდა და მაგრდებოდა; გამაგრებულს კანზე ჩნდებოდნენ მოშავო წინწკლები. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს წინწკლები თეთრდებოდნენ. საგნების გამადიდებელის შუშით გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ წინწკლების გული ჩაღრმავებული და თეთრი მტვერით ავსებული ყოფილა. ამისთანა სენით ავადმყოფი მარცვლები იჭმუჭნებოდნენ, ჰკნებოდნენ და მჩვარივით ხდებოდნენ. სიღნაღელ სირაჯებს, როგორც ისმის, უძლევიათ ახალ ღვინოში, საპალნეში (48 ვედრო) 100—120 მან. თუ ეს მართალია, მაშინ უნდა მოველოდეთ, რომ კარგი ღვინის ფასი ავა 200 მანეთამდე.

✦ გუშინდელს სხდომაზედ ქალაქის გამგეობას იმ კომისიასთან ერთად, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პროგრამმა, როგორ და რითი უნდა აღინიშნოს მომავალი 100 წლის იუბილეი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ჰქონია მსჯელობა ამ საგნის შესახებ. მომეტებული ნაწილი ამ სხდომაზე დამსწრეთა დაეთანხმა საბჭოს გადაწყვეტილებას, რომ აღძრულ იქმნას თხოვნა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ; ამასთანავე საჭიროდ სცნეს, რომ სახსოვრად ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე I, რომლის დროსაც მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება, მომავალს პოლიტეხნიკუმს დაერქვას „პოლიტეხნიკუმი იმპერატორის ალექსანდრე I-სა", და ქალაქის შემოსავლიდან გადაიდვას ამას იქით წელიწადში 30,000 მან. პოლიტეხნიკუმის ხარჯად დაწყებული მისი დაარსებიდან. უმცირესი ნაწილი სხდომის წევრთა კი მიემხრო გამგეობის პირველ წი-

ნადადებას, რომ დაარსებულ იქმნას მშობიარეთა თავ-შესაფარი, ოთხი სკოლა, ორი სტიპენდია საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში და გამართულ იქმნას შადრევანი და ყვავილის ბაღი ერევნის მოედანზედ. ქალაქის თავი აპირებს ამ მოკლე ხანში ისევ წარუდგინოს საბჭოს ეს საგანი განსახილველად და ამასთანავე გუშინდელის სხდომის დადგენილებაც.

✦ 18 სექტემბერს ქუთაისის საბჭოს ჰქონია სხდომა, რომელზედაც მსჯელობა ჰქონიათ შესახებ შემდეგი საგნებისა: საქალაქო აფთიაქის დაარსებისა და საქალაქო დუქნების აშენებისა. პირველის საქმის შესახებ საბჭოს დაუდგენია არჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც დაევალოს აფთიაქის ასაშენებლად ახალი ადგილი აარჩიოს და შეადგინოს აღრიცხვა აფთიაქისთვის საჭირო ხარჯებისა. შესახებ მეორე საგნისა საბჭოს დაუდგენია, რომ ქალაქის დუქნების აშენება დასრულებულ იყოს, თუმცა კი ბევრი ხმოსანი იყო ამის წინააღმდეგი. დანარჩენნი განხილული საგნები მაგდენად საყურადღებო არა ყოფილან.

✦ ტფილისის უსინათლოთა სკოლაში 16 სტიპენდიანტი იქმნება მიღებული ამიერ-კავკასიის ყველა ოლქებიდან და გუბერნიებიდან. მომავალ 1901 წ. ამ სტიპენდიანტებს მიეცემათ შემწეობა—4800 მან.

✦ დუშეთში 25 სექტემბერს მოხდება ყრილობა ადგილობრივ სახლის პატრონთა, რომელთაც უნდა აარჩიონ ახალი ქალაქის რწმუნებულნი 1901—1904 წ.წ.

✦ ჩვენ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნი** „ველურობა და განათლება, ანუ ადამიანთა ცხოვრება-განვითარება“. ლეტურნოს სოციოლოგიიდან გადმოკეთებული სევერიან ჯუღელის მიერ, 18 სურათით. გამოცემა ძმ. იმედაშვილებისა. წიგნი შეიცავს 120 გვერდს და ღირს ექვსი შაური.

✦ იმის გამო, რომ კავკასიის სახელმწიფო გლეხთა საადგილმამულო გაწეს-რიგების პროექტის შემუშავების კომისიის წევრთ ვერ მოასწრეს ქალაქში მოსვლა 20 სექტემბრისათვის, როცა სხდომა უნდა ყოფილიყო, სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ტაინი სოვეტნიკის მედვედევის განკარგულებით სხდომები იმ კომისიისა უნდა დაინიშნოს 25 სექტემბერს.

## უმაღლესი ბრძანება

### ხიზანთა დებულების შეცვლის შესახებ *).

გამოცხადდა საყურადღებო კანონი, რომელიც შეეხება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ხიზანთა დებულების ზოგიერთ მუხლების შეცვლასა და დამატებას. მოგვყავს ეს კანონი მთლად.

უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი:

I. აიხსნას: ა) რომ, თანახმად 1891 წლის 3 ივნისის უმაღლესად დამტკიცებულის დებულებისა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების ხიზანთა შესახებ (კანონთა კრებულის მე-IX ტომი, განსაკუთრ. დამატება XX, 1891 წლ. გაგრძ. დამატება 1-ლის მუხლისა, შენიშვნა მე-4), ხიზნებად შეიძლება ჩაითვალონ მხოლოდ ის გლეხები—მიწადმომქმედნი, რომელნიც დასახლებულან მეპატრონეთა მამულში თანახმად სახიზანო ჩვეულებისა, მეპატრონეთა ნება-რთვით და ბ) რომ ხიზნების სარგებლობაში არსებულ მიწის რაოდენობა და აგრეთვე სანახიროსი, საძოვარის და ტყის უფლებათა საზღვარი, თანახმად 1891 წლის დებულების მე-2 მუხლისა, უნდა განისაზღვროს, თუ უვადო ხელ-შეკრულობა არ არის, ხსენებულ სახიზანო ჩვეულების მიხედვით.

II. 1891 წლის 3 ივნისის დებულების მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად დადგინდა:

1) თუ მეპატრონემ არ მოისურვა, რომ მისმა ხიზანმა სხვას გადასცეს უფლება-მოვალეობანი, მან უნდა შეაჩეროს ეს გადაცემა და აცნობოს მომრიგებელ-შუამავალს, ხოლო უკანასკნელმა უნდა ნება დართოს, ან აკრძალოს გადაცემა. თუ მომრიგებელმა-შუამავალმა ნება არ მისცა ხიზანს—სხვას გადასცეს ხიზნის უფლება მოვალეობანი და თუ მაშინ ხიზანმა უარი სთქვა მეპატრონის მიწის სარგებლობაზედ, მეპატრონე ვალდებულია უზღოს ხიზანს თანახმად საურთიერთო შეთანხმებისა; ხოლო თუ შეთანხმება არ მოხერხდა, მეპატრონე ვალდებულია უზღოს ხიზანს თანახმად დებულების მე-2 მუხლისა, მაგრამ იმის ნახევარი, რაც აღნიშნულია ამ მუხლში.

2) მეპატრონე, რომელიც უარს ეტყვის ხიზანს და აღარ მისცემს თავის მიწით სარგებლობის ნებას, უნდა უზღოს ხიზანს იმდენი, რამდენსაც საურთიერთო შეთანხმება გადასწყვეტს. თუ ასეთი შეთანხმება მოხერხდა, მაშინ მეპატრონემ, თანახმად საგანგებო დაფასებისა, რომელიც მოხდენილ უნდა იქმნას 1891 წლის 3 ივნისის დებულების მე-8 მუხლის მიხედვით, უნდა უზღოს ხიზანს მეპატრონის მამულში აგებულ შენობათა, სამეურნეო მოწყობილებათა და ვენახ-ბაღების ღირებულება. ის, რაც ხიზანს დაუხარჯავს სახნავსათეს, სათიბ, საბაღო და სამოსახლო ადგილების გაუმჯობესებისათვის, მეპატრონემ ხიზანს არ უნდა უზღოს.

3) თუ ხიზანმა შეისყიდა მეპატრონესაგან ის მამული, რომელიც მის სარგებლობაში იყო, ნასყიდობის სიგელებზე გადახდება მხოლოდ უბრალო საგერბო გადასახადი და ხიზანიც და მეპატრონეც განთავისუფლებულ იქმნებიან დასამტკიცებელ სახელმწიფო გადასახადისაგან. გარდა ამისა, საგერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნება საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა, რაიცა საჭირო იქმნება ხიზანთაგან მიწების შეძენის საქმისათვის.

4) ხიზანთა და მეპატრონეთა საურთიერთო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისათვის მომრიგებელ-შუამავლებმა ადგილობრივ უნდა შეადგინონ ოქმები.

5) თუ ხიზნისა და მეპატრონის შუა დაიდო უვადო წერილობითი ხელშეკრულობა, 1891 წლის 3 ივნისის დებულების მე-2 მუხლის თანახმად, პირობანი ამ ხელშეკრულობისა უნდა შეტანილ იქმნან ოქმში (მუხლი მე-4). ხოლო თუ ამგვარი ხელშეკრულება არ არსებობს, მაშინ ოქმს შეადგენს მომრიგებელი შუამავალი ხიზნისა და მეპატრონის ჩვენებათა მიხედვით, კეთილსინდისიერ მოწმეთა თანადასწრებით.

6) იმ ხიზანმა ან მეპატრონემ, რომელიც უკმაყოფილო დარჩება ოქმისა, უნდა შეიტანოს საჩივარი საგუბერნიო საგლეხო საქმეთა სამმართველოში, რომელიც გარდასწყვეტს, რომელი ნაწილი ოქმისა უნდა შესწორდეს.

7) ოქმების ფორმა, მათი შედგენის წეს-რიგი, აგრეთვე ვადა, რომლის გათავებამდე უნდა აღნიშნულ იქმნან ყველგან ხიზანთა და მეპატრონეთა საურთიერთო ვალდებულებანი, უნდა დაადგინოს კავკასიის მთავარ-მართებელმა თანახმად მისის საბჭოს გარდაწყვეტილებათა.

8) ოქმის შედგენის შემდეგ (მე-4 მუხლი), თუ ხიზნისა და მეპატრონის შეთანხმების თანახმად, ცვლილება რამ მოხდა ადგილ-მამულის სარგებლობაში, ან თუ ხიზანმა სხვას გარდასცა თვისი უფლებანი, უნდა გამოეცხადოს მომრიგებელ შუამავალს ოქმში ჩასაწერად.

III. მე-5 მუხლის უკანასკნელი ნაწილი და მე-7 მუხლი დებულებისა სრულიად გაუქმებულ არიან; ძალაში რჩება მხოლოდ შენიშვნა მე-7 მუხლისა.

*) ეს უმაღლესი ბრძანება გადმობეჭდილია „კავკაზ“-ის გუშინდელ ნომრიდან (№ 251), სადაც იგი სავსებით არის მოყვანილი.

## თეატრი

**ოპერა.** გუგენოტები, ოპერა მეიერბერისა, ერთი იმ ოპერათაგანია, რომელიც მდიდარია ტეხნიკურის მხრივ ძნელი სხვა-და-სხვა ხასიათის სერიოზული მუსიკით, მეტადრე მომღერალთათვის. ამ ოპერას სდგამენ, როდესაც ტრუპაში საკმაო და სერიოზულად მომზადებული მომღერალნი არიან და ამასთანავე კარგის ხმის პატრონები. ამ საღამოს პირველად იმღერა იტალიანელმა ტენორმა პიკალუგამ, რომელსაც ამ ერთის კვირის წინად უნდა ემღერნა, მაგრამ ავადმყოფობისა გამო არ იღებდა მონაწილეობას. პიკალუგა ტენორია, ამასთან იტალიელი ტენორი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სულ სხვა, განსაკუთრებული ხმა აქვს, იტალიანურის კილოსი. ხმა შესანიშნავი ძრიელი და სუფთა აქვს, მღერის თავისუფლად, გრძნობით, ხელოვნებით. მაღალ ნოტებს თავისუფლად და სუფთად მღერის მეორე და მესამე მოქმედებაში, დუეტში და ტრიოში პიკალუგა შეუდარებელი იყო რაულის როლში. კარგი იყო ასტაფიევისა ვალენტინის პარტიაში, მეტადრე მესამე მოქმედებაში! მარსელის პარტიას მღეროდა გორიაინოვი ცოდნით და გრძნობით, მეტადრე მესამე მოქმედებაში ვალენტინასთან ერთად და გამოიწვიეს კიდეც ხანგრძლივი ტაშისცემით. ქ. კუნცოვისა მარგარიტა ვილუას პარტიას მღეროდა კარგად. საზოგადოდ, გუგენოტის წარმოდგენა ანსამბლით ერთ საუკეთესო წარმოდგენათ ჩაითვლება ამ სეზონის დასაწყისში.

## საღამოს დეპეშები

### 22 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დეპეშა ადმირალი ალექსეევისა 18 სექტემბრის თარიღით: „ჩინელებმა ჩემგან გაგზავნილი წინადადების გამო დასცლეს შანჰაიგუანი. ტაკუდან იქ წავიდა ადმირალი სკრიდლოვი გემი პეტროპავლოვსკით, თან გაჰყვა გემი „რიურიკიც“. პორტ-არტურიდან გავიდნენ „კორეეც“ და ნაღმიანი გემები, ვგზავნი ხმელეთის დესანტს, მატარებელთა

შიმოსვლა აღდგენილია სუნგარიდან დასავლეთით 160 ვერსის მანძილზე სადგურ სტარტუმდე, აღმოსავლეთით—65 ვერსის მანძილზე ტიანფასინლინამდე, სამხრეთით 12 ვერსის მანძილზე. იაპონიას განზრახვა აქვს წაიყვანოს პეკინიდან ბრიგადა და ციხის ზარბაზნები. საზოგადოდ იაპონიაში მშვიდობიანობა ჰსუფევს. ტიანძინში წართმეული ჩინელების ზარბაზნებისაგან შედგენილ იქმნა 4 ბატარეია, აფიცრები და ჯარის-კაცნი ამ ბატარეისთვის გადმოყვანილ იქმნენ ხვანტუნის მეციხოვნე არტილერიიდან. გენერალი ორლოვის მოწინავე რაზმმა დაიპყრო ქალაქი ბოდუნე.

**ნიუ-იორკი.** აქ მოვიდა ტაკუდან დეპეშა 18 სექტემბრის თარიღით, რომ ბრიტანიის სამი პოლკი გადის აქედან 19 სექტემბერს შანჰაი გუანში და ჯენძიჯენში. ამ ქალაქში მეციხოვნე ჯარი დარჩება.

**ვაშინგტონი.** გეიმ ჩააბარა გერმანიის რწმუნებულს ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია კმაყოფილება შესახებ გერმანიის წინადადებისა დამნაშავეთა დასჯის თაობაზე და გამოცხადებულია, რომ კონჯერს მიწერილობა გაეგზავნა — გამოიძიოს დასასჯელ ჩინელების სახელების სინამდვილე და საკმაოდ არიან ისინი დასჯილნი, თუ არა.

**რომი.** როგორც შანჰაიგუანიდან 19 სექტემბერს იტყობინებიან, იტალიის ადმირალის წინადადებით ჩინელებმა დასტოვეს სიმაგრეები არტილერიით და საომარ მასალით. დღეს, დილით, ბერსალიერებმა დაიჭირეს სიმაგრე უმთავრეს გალავნის ნაპირზედ, ამახთანავე დახოდილ და დაჭრილ იქმნენ აუარებელი ჩინელები. საერთა-შორისო საზღვაო ჯარებმა დაიჭირეს ექვსი შინგნითა სიმაგრე.

**ტიან-ძინი.** ჩინეთის სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ქვრივმა იმპერატრიცამ გაგზავნა იმპერიის უმაღლესი მოხელე, რომელსაც მიენდო პატივი სცეს კეტტელერის გვამს. შემდეგ იმპერატრიცამ ბრძანება გასცა, რომ აშენებულ იქმნას მოკლულის სახსოვრად ტაძარი და ცხედრის ტიან-ძინზედ და ჩინეთის სიმაგრეებზედ გატარების დროს, ტიან-ძინის ვაჭრობის უფროსმა ინსპექტორმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა ცხედარს სცენ შესაფერი პატივი.

პრინცი ტუანი, ლანი, სამიც სხვა და აგრეთვე კანი დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგან.

ტუნფუძიანი და სხვანი, ვინც კი მონაწილეობას იღებდა „დიდი მუშტის“ მოძრაობაში, დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# განცხადებანი

დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ „მოამბის“ მე-VIII №-რი შემდეგის შინაარსით: 1) „ბუნების მეფენი“ (ეტიუდი) შ. არაგვისპირელისა, 2) „ვერტერი“ თხზ. გეტესი, თაგმ. ა—ნისა, 3) „ასული ისრაელისა“ ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა, 4) „***ჰეინედან“ ლექსი სა—სი, 5) „ბატონ-ყმობა სამეგრელოში“, კ. ბოროზდინისა, თარგმ. თ. ს—სი, 6) „«ვეფხის-ტყაოსნის» ყალბი ადგილები“, ალ. ს—შვილისა, 7) „ჩინელები სახლში“, 8) „სამეგრელოს აღწერა“. თარგმ. იტალიანურით, 9) „შინაური მიმოხილვა“,—ლალისა და 10) „უცხოეთის მიმოხილვა“,—მისივე. (3—1)

წარსული წლების ჟურნალი

## მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალის „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალის

## მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журн. „Моамбе“

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის გამოც. წიგნები

იყიდება კოლსკ-...—ში — ქვაშვეთის პირდაპირ.

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 6 ოქტომბერს, 1900 წ., შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო

## ვაჭრობა,

რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით ქალაქის ბორანი, რომელიც მუშაობს მუხრანის ქუჩასა და რიყის შუა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილის დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3-მდე. (ნ. 3—3)

საუკეთესოდ

მოწყობილი

მსწრაფლად მბეჭდავი

## სტამბა

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება განქის დიდ ქუჩ. მარტირუსოვის სახლში.

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია
და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები მველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. ქეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღამამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, უდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭაერი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწაფის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერნანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბან», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Сентября 1900 г.     სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.